

სპორტული

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 22 (1848)

საბჭოთაო, 19 თებერვალი, 1959 წ.

გამოცემის მე-15 წელი

ფასი 30 კაპ.

22 თებერვალს დაიწყება საქართველოს პირველი ოლიმპიური თამაშები

საქართველოს 1959 წლის პირველი ოლიმპიური თამაშები დაიწყო 22 თებერვალს. პირველი ჯგუფი მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი გუნდები: საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო (ყოფილი ტტს თბილისი), „დინამო“ (ქუთაისი), „კოლმეურნი“ (მხარაძე), „დინამო“ (ბათუმი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „დინამო“ (სოხუმი), „მალაროელი“ (ჭიათურა), „იმერეთი“ (ქუთაისი, ყოფილი „ტორპედო“), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „კოლმეურნი“ (ლანჩხუთი), „ლოკომოტივი“ (სამტრედი), „სპარტაკი“ (სტალინოპოლი), 26 კომ. სახ. რაიონი (თბილისი), „სხივი“ (რუსთავი), „განთიადი“ (ფოთი), „კოლმეურნი“ (ქობულეთი), „სპარტაკი“ (ცხაქაია), ლენინის სახ. შახტი (ტყეპული). შეჯიბრება ჩატარდება წრიული სისტემით, ორ წრედ. მეორე ჯგუფის გუნდები პირველობას გაითამაშებენ აგრეთვე წრიული სისტემით, ერთ წრედ. 37 გუნდი ტერიტორიული პრინციპის მიხედვით დაყოფილია ოთხ ზონად. ზონებში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები (სულ 8 გუნდი) მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ ტურნირში ერთ წრედ, აქ პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები ვისადა გადავლენ პირველ ჯგუფში, ხოლო პირველ ჯგუფში ბოლო 4 ადგილზე გამოსული გუნდები გადავლენ მეორე ჯგუფში. თავის მხრივ, ამ ჯგუფის ზონებში უკანასკნელ ადგილებზე გამოსული გუნდები გადავლენ უფრო დაბალ, მესამე ჯგუფში. მესამე ჯგუფში წელს მონაწილეობს 4 ზონად დაყოფილი 55

გუნდი. თამაშები აქვს ჩატარდება წრიული სისტემით ერთ წრედ. გუნდები, რომლებიც ზონებში პირველ ადგილს დაიკავებენ, გადავლენ მეორე ჯგუფში. გათამაშება მეორე და მესამე ჯგუფებში დაიწყება 7 ივნისს, რესპუბლიკური სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ. ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების, რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების წინაშე დასახულია დიდი ამოცანა: ხელი შეუწყონ ფეხბურთის შემდგომ განვითარებას საქართველოში, აღზარდონ ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებში ოსტატთა ლირსეული ცვა. ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა ფეხბურთის მასობრივი განვითარება, სისტემატური, სრულყოფილი საწვრთნელი მუშაობა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში საწვრთნელ მუშაობას სულ ახლახან შეუდგნენ, ხოლო ზოგან კი ჯერ არც დაუწყიათ ვარჯიში. ბევრი მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელი რატომღაც მაისის სიტბოს უცდის და მხოლოდ ამ „სარეკორდოდ“ მოკლე დროში აპირებს გუნდის მომზადებას. რესპუბლიკის ფეხბურთელებს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვთ, ხოლო კლასის ამაღლება ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. მწვრთნელებმა და გუნდების ხელმძღვანელებმა თავიანთ მუშაობაში ურადლება უნდა გაამახვილონ ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე, დატვირთონ ისინი ისეთი ვარჯიშებით, რომლებიც განვითარებენ გამძლეობას, ძალას,

მოხერხებულობას, სისწრაფეს. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არ უვარგათ ტექნიკური მომზადება. მასა-სადაც, მწვრთნელებმა ამ უბანს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. მოთამაშეებს წვრთნის პროცესში უნდა მიეცეთ მეთოდური მითითებანი, ვინაიდან უამისოდ მრავალრიცხოვანი შეცდომები ფეხბურთელებს ჩვევად ექცევათ. მწვრთნელები დიდ დროს ანდომებენ უკვე შესწავლილი ელემენტების გამეორებას და მეტად მცირე დროს უთმობენ ახალ ტექნიკურ ელემენტებს. ჩვენი გუნდების წვრთნაში დიდი ადგილი ეთმობა მხოლოდ ორმხრივ თამაშს, რაც აქვეითებს ფეხბურთელებთან ინდივიდუალური მეცადინეობის ხარისხს. გუნდების ხელმძღვანელობა და ინტერესებულები მორიგი ორი ქულით და ანგარიშს არ უწყებს იმას, რომ გუნდი ესაა შემოქმედებითი კოლექტივი, რომ მას დღევანდელი დღის გარდა აქვს მომავალიც. ისინი ამ გათამაშებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაავროვონ ქულები და დაიკავონ ესა თუ ის ადგილი, მათი მთავარი ამოცანაა მიაწოდონ ოსტატთა გუნდებს ღირსეული ცვა. საგულსინდობა ამ მხრივ ის, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე არც ერთი მოთამაშე არ მიუციათ თბილისის „დინამოს“ ოსტატთა კოლექტივისათვის ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, სტალინისა და სხვა რაიონების გუნდებს. აი ამას უნდა ჩაუფიქრდნენ პირველ რიგში მწვრთნელები. ბევრი რამაა ვასაქებელი თამაშის ტაქტიკის ვასაუზმობებს-

ლად. მოთამაშეებს უნდა გავუღვიძოთ დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გრძობა, ტაქტიკურ კომბინაციათა მრავალფეროვნების უნარი. ახალი ტაქტიკური კომბინაციების შესწავლა, მათი შემოქმედებითი ათვისება და პრაქტიკაში გატარება უდაოდ წარმატების გზაზე დაყენებს ჩვენს გუნდებს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ვარჯიშებს, რომ გუნდი ესაა ერთიანი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც თვითუფლებს წვერისაგან მოთხოვს მაღალ მორალურ თვისებებს, მტკიცე ნებისყოფას. ამ მხრივ მწვრთნელის პირადი მაგალითი აღმზრდელით მუშაობაში დიდ როლს ითამაშებს. მოთამაშეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოყოანობის, ამპარტანობის აღმოსაფხვრელად, სპორტსმენს უნდა შევავაროთ შრომა, საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა, კოლექტივის სიყვარული. საქართველოში ბევრია ნიჭიერი, მზარდი ფეხბურთელი. საჭიროა მათი გამოყენება, მათთან მუშაობა, ზრუნვა ყოველი ფეხბურთელის პროგრესისათვის. მწვრთნელებმა მიუღიონ სერიოზულობით უნდა მოქმედონ ხელი ასეთი ახალგაზრდების აღზრდის საქმეს, დააწინაურონ ისინი ძირითად შემადგენლობაში, შექმნან მეგობრული, ბრძოლისუნარიანი კოლექტივები. მაშინ მასობრივი ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში მეტ გაქნებას პოუვებს, ხოლო ოსტატთა გუნდებისათვის ყოველთვის გვეყოლება შესაფერი, მაღალხარისხის ცვა. **ფ. ცოხია, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**



ლ. ვოლპერტი

დ. ვოლპერტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

დ. ვოლპერტი და ლ. ვოლპერტი მატჩის მეოთხე პარტიას უნდა გამოეცინათ თუ ვინ გახდება ბოლო ჩემპიონი ჩემპიონი ჯადოქარი ქალთა შორის, მაგრამ პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიღო ლ. ვოლპერტისათვის უკეთეს მდგომარეობაში. გადადებული პარტიის გათამაშებისას მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა. რაც კ. ვოლპერტიანამ ვერ გამოიყენა და დაპარკდა. ამრიგად, სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი), რომელმაც ანგარიშით 2,5:1,5 მოიგო გადაწყვეტი მატჩი.

გერმანულ ველოსიპედისტთა გამარჯვება

გერმანული ველოსიპედისტების დასკვნითი ეტაპი (ალექსანდრია-კაირო) ყველაზე გრძელი იყო — 230 კმ. ალექსანდრიაში ერთდღიანი დასვენების შემდეგ მონაწილეებმა უკანასკნელ ეტაპზე უკიდურესად მაღალი ტემპი განსვითარეს ცალკეულ ეტაპებზე სისწრაფე საათში 55 კილომეტრს აღწევდა. გუნდური პირველი ადგილი და რესპუბლიკის პრეზიდენტის ვერცხლის თასი მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა — 136:23.42. მას 2 წუთითა და 24 წამით ჩამორჩნენ საბჭოთა ველოსიპედისტები. მესამე ადგილზე რუმინეთის გუნდი, მომდევნო ადგილები დაიკავეს ბულგარეთმა, საბერძნეთმა, არაბთა ერთიანებულმა რესპუბლიკამ. პირად პირველობაზე გამარჯვება მოიპოვა პ. ლოთფერმა (გერ), მეორე ადგილზეა ა. პეტროვი, მესამეზე — ნ. ეჩკენკო.

ჩემპიონის სანსი

ვასულ ორშაბათს ვაზეთ ზარია ვოსტოკას დაბაზაში ერთდღიანი თამაშის სენსი ჩატარა ჰადრაკში 1959 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა. გროსმაისტერის წინააღმდეგ თამაშობდნენ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და სტამბის, „სოვეტკან ვრასტანს“, „მოლოდო სტალინის“ რედაქციების, აგრეთვე საქედსის თანამშრომლები. ჩემპიონმა მოიგო 21 პარტია და სამი ყამით დამთავრა. გროსმაისტერის ნახევარი ქულა „წართვეს“ საქედსის დირექტორის მოადგილემ გ. მსხილამე, საქედსის თანამშრომელმა ნ. ტერმინოვამ და თბილისის 31-ე სკოლის VII კლასის მოსწავლემ გ. კაკიბაძემ.

ასე გათამაშდება „ბ“ კლასის საკავშირო პირველობა

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების სპორტგანიზაციის ბიურომ მიიღო დადგენილება ჩატარდეს 1959 წლის პირველობა ფეხბურთში ისევე, როგორც ვასულ წლებში, „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებს შორის. როგორც ყოველთვის, „ა“ კლასის გუნდების ტურნირში ბოლო ადგილზე გამოსული გუნდი მომავალ წელს ითამაშებს „ბ“ კლასში. მაგრამ გარდა ამისა, ბოლოსწინა, მე-11 ადგილზე გამოსული გუნდი მონაწილეობას მიიღებს „ბ“ კლასის უძლიერესი გუნდების ფინალურ შეჯიბრებაში, რათა შეინარჩუნოს „ა“ კლასში თამაშის მონაწილეობის უფლება. საამისოდ მან ამ ტურნირში უნდა დაიკავოს პირველი ან მეორე ადგილი.

ცვლილებებია შეტანილი „ბ“ კლასის გუნდების გათამაშებაშიც. დაწესდა 7 ზონა, რომლებშიც ითამაშებს 101 გუნდი. მოკავშირე რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულები გადასასვლელ მატჩებში შეხვდებიან გუნდებს, რომლებიც ამავე რესპუბლიკიდან თამაშობენ მეორე ეშელონში. გამოწვევის შეადგენს მხოლოდ რუსეთის ფედერაცია, სადაც „ბ“ კლასში მონაწილეობისათვის იბრძო-

ლებენ პირველ 3 ადგილზე გამოსული გუნდები, ხოლო უკანაინდან — 2 გუნდი. „ბ“ კლასის ზონათა შემადგენლობა ასეთია:

I ზონა
„ლოკომოტივი“ (ბენდერი), „ავანგარდი“ (ნიკოლავეი), „სპარტაკი“ (ხერსონი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „მეტალურგი“ (დნეპროპეტროვსკი), „ხიმიკი“ (დნეპროპეტროვსკი), „ლოკომოტივი“ (სარატოვი), „ტრული“ (გორონჟი), „ტრული“ (რიაზანი), „ტრული“ (ელაბრისი), „შრომითი რეზერვები“ (ლიპეცი), „ხიმიკი“ (იაროსლავლი), „სპარტაკი“ (ლენინ-

გრადი), „ისკრა“ (ყაზანი), „დინამო“ (კიროვი).
II ზონა
„ზევულა“ (კიროვოგრადი), „გორნიაკი“ (კრივოი როგი), „კოლოსსნიკი“ (ჩერკასი), „კოლოსსნიკი“ (პოლტავა), „არსენალი“ (კიევი), „ავანგარდი“ (ხარკოვი), „სპარტაკი“ (მინსკი), „ლოკომოტივი“ (გომელი), „ავანგარდი“ (ვიტომირი), „შრომითი რეზერვები“ (კურსკი), „ტრული“ (ტულა), „შახტიორი“ (სტალინოვოგორსკი), „ზნამია ტრული“ (ორგანოვო-ზუევო), „ტრული“ (გლუხოვო), „შრომითი რეზერვები“ (ლენინგრადი).
გაგრძელება. იხ. მე-8 გვერდზე.

თენახევარიანი შესვენების შემდეგ განახლდა კალათბურთელთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრება. ვასულ კვირას რიგაში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სკვო (რიგა) და ადგილობრივი ვეფს-ის გუნდი. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ჩემპიონის გამარჯვებით — 75:65.

გათამაშების კადენდარი

ქვემოთ მოკვავს შეხვედრების კალენდარი 1959 წლის პირველ მარტამდე. ვაფები: 18 თებერვალი სკვო (რიგა)-სპარტაკი (ლენინგრადი), 20 თებერვალი — ვეფს (რიგა)-სპარტაკი (ლენინგრადი), 22 თებერვალი — სკვო (კაუნა-სი)-სპარტაკი (ლენინგრადი), ცსკ მო (მოსკოვი)-სპი (თბილისი), 24 თებერვალი — დინამო (მოსკოვი)-სპი (თბილისი), 26 თებერვალი — დინამო (მოსკოვი)-დინამო (თბილისი), 27 თებერვალი — სპარტაკი (ლენინგრადი)-სპი (თბილისი), 28 თებერვალი — ცსკ მო (მოსკოვი)-დინამო (თბილისი).
ქალები: 26 თებერვალი — ლეტი (ლენინგრადი)-დინამო (მოსკოვი), სკვო (ლენინგრადი)-დინამო (მოსკოვი), 27 თებერვალი — დინამო (თბილისი), 27 თებერვალი — სპარტაკი (ლენინგრადი)-სპი (თბილისი), 28 თებერვალი — ცსკ მო (მოსკოვი)-დინამო (თბილისი).
ქალები: 26 თებერვალი — ლეტი (ლენინგრადი)-დინამო (მოსკოვი), სკვო (ლენინგრადი)-დინამო (მოსკოვი), 27 თებერვალი — დინამო (თბილისი), 27 თებერვალი — სპარტაკი (ლენინგრადი)-სპი (თბილისი), 28 თებერვალი — ცსკ მო (მოსკოვი)-დინამო (თბილისი).

როგორ ემზადებიან საქართველოს ნაპრები გუნდები საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის

ნიჩბოსნობა

ნიჩბოსნობას ჩვენს რესპუბლიკაში არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სპორტმწიფეებმა უკვე არაერთი გამარჯვება მოიპოვეს დიდ შეჯიბრებებში. სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადზე მათ უკან ჩამოიტოვეს რამდენიმე ძლიერი კოლექტივი და მეხუთე ადგილი მოიპოვეს, ხოლო შარშან პირველი ადგილი დაიკავეს ფოთში გამართულ ზონალურ შეჯიბრებაზე. სპორტის ამ სახეობაში საქართველოს სპორტმწიფეებმა რესპუბლიკაში, განსაკუთრებით თბილისსა და მცხეთაში. მაგრამ ყველაზე სათანადოდ როდია გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი. აფხაზეთში, აჭარაში, ფოთში, სადაც სპორტმწიფეებს სრულყოფილი ვარჯიშის ყველა პირობა გააჩნიათ, ისედაც მცირერიცხოვანი სექციები არარეგულარულად მუშაობენ. ამ მხრივ არაფერს აკეთებენ „ლოკომოტივის“, „დინამოს“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოებიც, რომლებიც პრინციპულად არ ზრუნავენ ნიჩბოსნობის განვითარებისათვის, მისი მასობრიობისათვის. მაგალითისათ-

ვის ისიც კმარა, რომ ამ საზოგადოებათა არც ერთი სპორტმწიფე არაა მოხვედრილი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში. სწორედ ამის გამო იყო, რომ შარშანდელ საკავშირო პირველობაზე ჩვენი სპორტმწიფეები ცუდად გამოვიდნენ ბილბრებში 500, 1.000 და 10.000 მეტრზე შეჯიბრებაში, ამის შედეგად კოლექტივმა ერთი ადგილით გადაინაცვლა უკან.

ნიჩბოსნობის რესპუბლიკურმა სექციამ ამ ფაქტიდან სათანადო დასკვნები გააკეთა და კურსი აიღო გუნდის ახალგაზრდებით გაძლიერებაზე საქართველოს ნაკრები საგრძობლად გადახალისდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადში გამარჯვებულთაგან. მის შემადგენლობაში შევიდნენ თბილისელები ა. იუდანოვა, ვ. კამაროვი, გ. სისარულიძე, ნ. ხლდეკოვი, მცხეთელები ს. ბერიკაშვილი, ნ. ალიბეგაშვილი, ვ. ფირალოვი. როგორც ამ სიიდან ჩანს, რესპუბლიკური ნაკრებისათვის არავითარი შევსება არ მოუცია ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ორგანიზაციებს, რაც აქაურ ხელმძღვანელთა სპორტის ამ სახეობისადმი უყურადღებობაზე მეტყველებს.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების უქონლობის გამო ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაშია 45 სპორტმწიფე, მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინ შეუდგა გეგმიან, რეგულარულ ვარჯიშს. მათ განკარგულბაშია ყველა სახის ინვენტარი, კვალიფიციური მწვრთნელები. ახლა მთავარია

სპორტმწიფეთა მონდობა, მაღალი შედეგების ჩვენება შერჩევით და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, ვინაიდან სწორედ ამ ღონისძიებებში თანდათან დადგინდება ხალხთა II სპარტაკიადზე წამსვლელთა საბოლოო შემადგენლობა.

სექციის გადაწყვეტილებით ნაკრები ორ ჯგუფადაა გაყოფილი და წევრთა გადის თბილისსა და მცხეთაში, რის შემდეგ ნიჩბოსნობა გაემგზავრებიან ფოთში, სადაც ერთობლივ ვარჯიშსა და შეხვედრებს ჩაატარებენ ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან, რაც ბევრ დადებით შესძენს მათ.

ერთი შეხვედრით, ნაკრები გუნდის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადების საქმეში თითქოს ყველაფერი რიგზეა და სხვა დასკვნების გაკეთება მისი წვრთნის ამ მცირე დროის მანძილზე თითქოს შეუძლებელიცაა. მაგრამ ერთგვარი ნაკლოვანებები მაინც შესამჩნევია, როგორც ვარჯიშისათვის ნორმალური პირობების, ისე გუნდში დისციპლინის განმტკიცების საქმეში. მათი დროული აღმოჩენა აუცილებელ პირობას წარმოადგენს გუნდის ტექნიკური დონის ამაღლებას.

ნიჩბოსნობისათვის წყალზე ვარჯიშის გარდა აუცილებელია საერთო ფიზიკური მომზადებაც, რომელსაც სპორტის სხვა სახეობათა გამოყენებით (მძლეოსნობა,

ძალოსნობა, სპორტთამაშები) უნდა მიადგინონ, ამისათვის კი საჭირო დარბაზი სპორტმწიფეებისათვის ჯერ არ გამოუყვიათ.

კარგად მოიქცა ნაკრები გუნდის სელმძღვანელობა (უფროსი მწვრთნელი ვ. რაზმაძე), როცა შეკრებაზე არ აიყვანა უდისციპლინო სპორტმწიფე მ. ბუზიაშვილი, რომელსაც დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და არად აგდებს უფროსთა რჩევა-დარიგებებს. ეს ფაქტი მაგალითი უნდა იყოს ნაკრების სხვა წევრებისათვის.

ო. გელაშვილი

ორ დღის ბრძელბობა შეჯიბრება

დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიავეთა შეხვედრამ, რომელიც ჩატარდა თბილისში. გასულ წელს კიევიში გამართულ სტუდენტთა საკავშირო თამაშებზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიავეთა ვაჟებმა დაშინა და ესპადრონში, ხოლო ქალებმა რაბირაში სამი პირველი ადგილი მოიპოვეს, მაგრამ რაბირისტ ვაჟთა არასრული გუნდის გამოყვანისათვის 17 საჯარიმო ქულა მიიღეს და საერთო გუნდური პირველობა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტმწიფეებს დაუთმო.

შეიდი სპორტის ოსტატი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში და მხოლოდ ერთი სტუმართა შორის — ასეთი იყო ძალთა

შეფარება და შეხვედრის ბელი თითქოს თავიდანვე მასპინძელთა სისარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. მაგრამ სტუმრების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ ამოცანის გადაჭრა საკმაოდ გაუძნელეს თბილისელ სტუდენტებს.

დამნიტ ბროლაში მომავალმა ინტერებმა ჯერონად ვერ შეაფასეს მოწინააღმდეგეთა ძალები და გუნდურ პირველობაში დამარცხდნენ — 4:12. უპასუხისმგებლობის გარდა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ საქართველოს მოფარიავეთა ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა გ. ცაგარელმა წააგო ყველა შეხვედრა. არ ებატიება შ. ალანისაც, რომელმაც 4 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ხუთი დღის ს. როგავა მხოლოდ


ბოლო შეხვედრაში „გამოცოცხლდა“ და მოუგო სპორტის ოსტატ ნ. გორბუნოვს. ამ უკანასკნელმა, რომელიც მოსკოვის ჩემპიონია სტუდენტთა შორის, მხოლოდ ორი შეხვედრა მოიგო, მაშინ, როცა მისმა თანაგუნდებელმა პირველთანაგონებმა გ. ვაიტკუნასმა და ნ. კოლოსნიცინმა თავიანთ გუნდს 4-4 გამარჯვება მოუტანეს.

როგორც ჩანს, პირველი წაგებიდან სათანადო დასკვნა გამოიტანეს რაბირით მოფარიავეთა ვაჟებმა და შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარეს. აღსანიშნავია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიავეთა ი. ოსიპოვის გამოსვლა, რომელმაც ამ შეხვედრაში დახვეწილი ტექნიკა გამოავლინა და საერთო ჯამში ოთხივე მოგებას მხოლოდ 10 წუთი მოაწვდინა. მოგებათა მაქსიმალური რაოდენობით აღინიშნა სპორტის ოსტატ გ. ჯაიანის გამოსვლა. მხოლოდ დაუღვეგრობის გამო წააგეს თითო შეხვედრა სპორტის ოსტატმა კ. გოგელიამ და პირველთანაგონებმა დ. სხვამცემ. ესპადრონით ბროლაში მასპინძლები მთელი თავით მალა იდგნენ სტუმრებზე და თავიანთ აქტივში 15 გამარჯვება ჩაიწერეს. ფარიაკობის ყველა სახეობათა ჯამში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა დააგროვეს 34 ქულა 30-ს წინააღმდეგ და მოიპოვეს საერთო გუნდური პირველობა. ბ. სამსონაძე

ანუშოპან სპორტულ ბაზებს

ონარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდები დიდ ინტერესს იჩენენ ფიზკულტურისა და სპორტისადმი. მეურნეობის დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მხარდაჭერით ახალგაზრდებმა მიმდინარე წელს დაიწყეს ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნებისა და საკიდაო სარბიელის კეთილმოწყობა.

ონარელი სპორტმწიფეები გაცილებით ემზადებიან II სპარტაკიადისათვის. უკვე მიმდინარეობს საწვრთნელი ვარჯიშები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთისა და მძლეოსნობაში. ბ. ალუბაია



სურათზე: ბაზმეულის ქსოვილების გორის კომბინატის სტადიონის სახეტუმრო, რომელიც 70 სტუმარი - სპორტმწიფეებისა გათვალისწინებული. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ახალი წიგნები

„მკლავსნობა მუთ კომპლექსში“

მძლეოსნობის დიდი მნიშვნელობა ფიზიკური აღზრდის სისტემაში, მისი წამყვანი როლი ნათლად ჩანს მუთ კომპლექსში, სადაც მძლეოსნურ ვარჯიშებს უმთავრესი ადგილი უჭირავთ. სწორედ ამ საკითხს იხილავს საკავშირო კატეგორიის მსაჯი მძლეოსნობაში — ლ. გიორგაძე თავის ნაშრომში „მძლეოსნობა მუთ კომპლექსში“, რომელიც ახლახან გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი არკვევს მუთ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის მნიშვნელობას, რომელიც შეადგენს ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სისტემის საფუძველს. იგი მიმართულია საბჭოთა მოქალაქეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივი განვითარებისაკენ. კომპლექსის ნორმათა მომზადება და ჩაბარება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ განვითარებას, საბჭოთა სპორტმწიფეთა ოსტატობის ამაღლებას, საბჭოთა პარტიოტების აღზრდას ფიზიკურად ძლიერ და გამძლე ადამიანებად. მეორე თავში ავტორი მკითხ-

ველს აცნობს მუთ კომპლექსის შემადგენლობას. როგორც ცნობილია, კომპლექსი აგებულია ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივი, თანმიმდევრული განვითარების პრინციპზე და შედგება სამი საფეხულისაგან. ავტორს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობები მძლეოსნობის ისტორიიდან. ბევრი ადგილი აქვს

დათმობილი მძლეოსნობის სახეობებს, რომლებიც შედის მუთ კომპლექსში (რბენა, სიგრძეა და სიშალეზე ხტობა, პირთვის კვრა, ბადროს, შუბის და უროს ტყორცნა). მძლეოსნობის ზემოწამოვლილი სახეობანი კარგადაა ილუსტრირებული შესაბამისი სურათებით, ცხრილებითა და სათანადო ნორ-

მებით, როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის. ლ. გიორგაძის ნაშრომი კარგ საშაბურს გაუწევს მწვრთნელებს, ფიზიკურ აღზრდის მასწავლებლებს, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს, აგრეთვე ყველა მათ, რომელთაც სურთ ჩააბარონ მუთ კომპლექსის ნორმები. ბ. გურაშვილი

ასე გათავაზდება „ბ“ კლასის საკავშირო კირველოვა

(დახასრული) III წონა

„სპარტაკი“ (ერევანი), „შირაქი“ (ლენინაბადი), სკვა (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ტექსტილშენიკი“ (კიროვობადი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო), „ტემპი“ (მახაჩყალა), „თერგი“ (გროზნო), „სპარტაკი“ (ნალჩიკი), „სპარტაკი“ (სტავროპოლი), „ყუბანი“ (კრასნოდარი), „რისტ-სელმაში“ (როსტოვი), „ტორპედო“ (ტავანროვი).

IV წონა

„სპარტაკი“ (უფგოროდი), „სპარტაკი“ (სტანისლავი), სკვა (ლეოვი), „ავანგარდი“ (ტარნოპოლი), „კოლოსპნიკი“ (როვნო), „ლოკომოტივი“ (ვინიცა), სკვა (ოდესა), „ნერნომორცი“ (ოდესა), „ავანგარდი“ (სიმფეროპოლი), სკჩფ

(სევასტოპოლი), „დაუგავა“ (რიგა), „დინამო“ (ტალინი), „სპარტაკი“ (ვილნოუსი), „ურთაი“ (მინსკი), „ბალტიკა“ (კალინინგრადი).

V წონა


„შრომითი რეზერვები“ (ლუგანსკი), „ლოკომოტივი“ (სტალინო), „შახტორი“ (კადიევკა), „შახტორი“ (გორლოვკა), „შახტორი“ (შახტი), „ტრაქტორი“ (სტალინგრადი), „ენერგია“ (ვოლსკი), „ტორპედო“ (გორკი), „ზენიტი“ (იევგესკი), „სპარტაკი“ (ულიანოვსკი), „რაკეტა“ (გორკი), „ადმირალტეიცი“ (ლენინგრადი), „ტექსტილშენიკი“ (ივანოვი), „ვოლგა“ (კალინინი).

VI წონა

„კოლოზნიკი“ (აშხაბადი), „ხოსლოტი“ (სტალინობადი), „პამირი“ (ლენინობადი), „პახტაორი“ (ტაშკენტი), „შრომითი რეზერვები“ (ტაშკენტი), „სპარტაკი“ (ფრუნზე), „კაირატი“ (ალმა-ატა), „შახტორი“ (ყარაგანდა), „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი), „სტროიტელი“ (უფა), „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი), „მეტალურგი“ (ნიჟნი-ტაგილი), „ზეკუნდა“ (პერმი), „მანოსტროიტელი“ (სვერდლოვსკი).

VII წონა

„ლუჩი“ (ვლადივოსტოკი), სკვა (ხაბაროვსკი), „ლოკომოტივი“ (კომსომოლსკი), სკვა (ჩიტა), „ლოკომოტივი“ (ულან-უდე), „ენერგია“ (ირკუტსკი), „ლოკომოტივი“ (კრასნოიარსკი), „სიბელექტრომტორი“ (ტომსკი), „სიბიკი“ (კემეროვო), „მეტალურგი“ (სტალინსკი), „ურთაი“ (ბარნაული), „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი), „ირტიში“ (ომსკი), სკვა (სვერდლოვსკი).



ახლოვდება დიდი ფეხბურთის სეზონი

თავაზი შეიძლება ყველგან

ფეხბურთის მწვრთნელები, სპეციალისტები და ძველი გულშემატკივრები ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ თბილისში რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მცირდება ბავშვთა მასობრივი ფეხბურთი. ლაპარაკია არაორგანიზებული გუნდების შესახებ, ე. ი. იმ ბავშვებზე, რომლებიც ფეხბურთს თამაშობენ დაუსახლებელ ადგილებზე, ეზოებში, ქუჩებში, გარეუბანში.

ეს სერიოზული და სავანაშო ამბავია. ოფიციალურად შექმნილ გუნდში მოხვალა ბავშვთა უნდა ითამაშოს ბურთი თავის ტოლებში, რათა მიიღოს გარკვეული საფეხბურთო მინიმუმი. ამ მინიმუმს ყოველი ფეხბურთელი, როგორც წესი, იძენს სწორედ „ველურ“ გუნდებში თამაშისას. ამ სამწუხარო ფაქტის მიზეზი მხოლოდ ერთია: ბავშვები ფეხბურთს ვერ თამაშობენ მხოლოდ იმიტომ, რომ არა აქვთ სათამაშო ადგილი. ქალაქში ახლა მართლაც იწვლება მოძებნა ასეთი ადგილი, ხოლო ნამდვილი საფეხბურთო მინდვრების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ იქ დრო არ ყოფნის არაორგანიზებული გუნდების თამაშის კი არა, ოფიციალური საქალაქო შეჯიბრებთათვის. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობა, რომელთა დიდი უმრავლესობა სრულიად მოკლებულია ფეხბურთის თამაშის შესაძლებლობას.

შეგარამ არის შესაძლებლობა ბავშვებმა (და უფრო მოზრდილებმაც კი) სულ მცირე ფართობზე ივარჯიშონ ბურთით. საცხოვრებელი სახლის ეზოში, ღერეფანში, ოთახში (ღია ფანჯრებით) შეიძლება წვრთნა ისეთი ტექნიკური იღეთების ათვისებაზე, როგორცაა დარტყმები ადგილიდან და მოძრაობაში, სხვადასხვა სიმაღლეზე მფრენი ბურთების მიღება და გაჩერება სხეულის სხვადასხვა ნაწილით, თამაში თავით, ვარჯიში მეკარესთან და სხვა მრავალი. ამ ვარჯიშების საშუალებით ბავშვი ეჩვევა ბურთს მასში გამოუმუშავდება ბურთის რბილი მიღების, ზუსტი დარტყმების ჩვევა. გარდა ამისა, ბურთი დამარტყმელისაგან შორს არ მიდის და მას

საშუალება აქვს გაცილებით უფრო რაციონალურად გამოიყენოს დრო ე. ი. თუ ღია მინდორზე მოვარჯიშე 10 წუთის განმავლობაში შეასრულებს იღეთების გარკვეულ რაოდენობას, ჩვენს მიერ რეკომენდებული ხერხით ვარჯიშისას ეს ციფრი გაცილებით იზრდება.

საამისოდ საჭირო არაა რთული და ძვირადღირებული ინვენტარი. ბურთი თოკით ან რეზინით უნდა ჩამოკიდოთ კაუჭზე და შეუდგეთ კარჯის. თოკზე (რეზინაზე) მიბმული ბურთით ვარჯიში შეიძლება დაეწყოს 1 მეტრი ფართის ტერიტორიაზე და გაეზარდოს იგი თუ კი სათამაშო ტერიტორია იძლევა ამის საშუალებას.

მე აქ არ შევედგები ყველა გამოთვლის მოყვანას, მაგრამ აღვნიშნავ ერთ ციფრს. რეზინით ჩამოკიდებულ ბურთზე ვარჯიშისას მოთამაშე ბურთს ეხება იმდენჯერ, რამდენჯერაც 22 მითამაშე ეხება მას 90-წუთიან მატჩში და ყველასათვის ცნობილია, — რაც უფრო მეტია მოთამაშისა და ბურთის კონტაქტი, მით უფრო ეფექტური და სასარგებლოა წვრთნაში დასაბრუნებელი დრო. რეზინზე მიბმული ბურთით რომ ბავშვმა დღეში ივარჯიშოს 10 წუთი, იგი ბურთს შეეხება 100-ზე მეტჯერ, ხოლო, ვინაიდან ბავშვს ყოველთვის აქვს საშუალება დღეში ივარჯიშოს 30-40 წუთი, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სასარგებლოა მისცემს მას ასეთი ახალი „ურთიერთობა“ ბურთთან. იგი თითქმის განუწყვეტლავ ასრულებს რომელიმე იღეთს და სწრაფად ეჩვევა ბურთს.

პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: რეზინზე ჩამოკიდებული ბურთი 3 მეტრის მანძილზე დაბრუნებას უნდება 1 წამს. 10 წუთის განმავლობაში მოთამაშე ბურთს 600-ჯერ შეეხება მაშინ, როცა პარტნიორებს შორის გათამაშებულ ბურთზე დარტყმათა რაოდენობა 200-ს არ აღემატება.

ბურთის მოწოდებაში ჩვენ გვყავს ერთგული დამხმარე რეზინის სახით, რომელსაც შეუძლია ადვილად მოთამაშეთა დატვირთვა გადაიტანოს. ცნობილია, რომ სათამაშო ბურთის წონა უდრის დაახლოებით 400 გრამს, ხოლო რეზინი, რომელიც ბურთს ეწვევა

უკან დასაბრუნებლად 10 მეტრის მანძილზე, იწონის 20 გრამს. თუ ჩვენ გამოვიყენებთ რეზინის პოტენციურ ენერგიას დარტყმული ბურთის უკან დასაბრუნებლად, დაინახავთ, რომ რეზინის ნამდვილი მოქმედი ენერგია თავის წონასთან შედარებით 20-ჯერ მეტია.

პრაქტიკულმა მეცადინეობამ დაგვარწმუნა, რომ რეზინზე მიბმული ბურთის საშუალებით 10-ჯერ ნაკლები დროა და 20-ჯერ ნაკლები ენერგია იხარჯება რომელიმე რთული იღეთის ასათვისებლად. გარდა ამისა, ანგარიშში არ შედის ის დრო, რომელიც მოთამაშეს ეხარჯება სავარჯიშო მოედანზე მისასვლელად და შინ დასაბრუნებლად.

რეზინზე ჩამოკიდებული ბურთით ვარჯიში შეუძლია ყველას, ვისაც საამისო სურვილი გააჩნია. ცოველ სახლში არის ღერეფანი, საკმარისად ადგილი ეზოში, რომ ჩამოკიდოთ ბურთი სავარჯიშოდ. მაგრამ რომ უფრო მასობრივად იქნას გამოყენებული ეს ინვენტარი და მეტი ეფექტი მივიღოთ ბავშვებთან ვარჯიშში, კარგი იქნება თუ სკოლაში ფინალრდის გაკვეთილებზე შემოვიღებთ ასეთ ვარჯიშებს. ბავშვები ხალხით ჩაებმებიან მასში და ბევრს სასარგებლოს შეიძენენ ორგანიზებული წესით ვარჯიშში.

მოგვყავს რამდენიმე ვარჯიში ბურთით:

გაუჩერებელ ბურთზე ფეხით დარტყმა უნდა ხდებოდეს წრის წინასწარ დანიშნული მიმართულებით 0 დან 360 გრადუსამდე შემოვლით. ამ იღეთის შესასრულებლად ჩამოკიდებულ ან ხელში დაჭერილ თოკზე (რეზინზე) მიბმულ ბურთზე ბურთს ურტყამთ წინ, გარკვეულ მანძილზე. ბურთი ძველავ თქვენთან ბრუნდება და ამ დროს შეგიძლიათ იგი გააჩეროთ ფეხით ან დაარტყათ გაუჩერებლად. ამგვარად, ითვისებთ როგორც ბურთების გაჩერებას, ისე დარტყმებს სასურველი მიმართულებით.

ასეთივე წესით ხდება ბურთის მიღება, მასზე დარტყმა და მისი გადაცემა წინასწარ დანიშნული მიმართულებით მუხლის, ბარძაყის, თავისა და მკერდის საშუალებით. ოთახის პირობებში რომ ვარჯიშის ჩატარება შესაძლებელი გა-

პირველი თასი
1954 წლის საქართველო-საბჭოთა კავშირის ფეხბურთის კლასის არმიულთა გუნდები პირველად გაითამაშებენ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა თასს.
შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ოდესის, ლეოვის, კიევის, თბილისის, სვერდლოვსკის, ხაბაროვსკისა და ჩიტის არმიული და სევასტოპოლის მებრძოლი ფეხბურთელები.
შეჯიბრება ჩატარდება 5-25 აპრილს ტაშკენტში.

ხდეს, საკმარისია მისი სიგრძე უდრიდეს 4 მეტრს, ხოლო სიგანე — 2 მეტრს, ხოლო ჩამოსაკიდებელი თოკის ან რეზინის სიმაღლე განისაზღვრება ჭერის მიხედვით.

ვარჯიშის შემთხვევაში ოთახის ფანჯარა ღია უნდა იყოს სუფთა ჰაერის ცირკულაციისათვის.

ოთახში, ღერეფანსა და ეზოში თოკზე (რეზინზე) მიბმული ბურთის მოწყობა იოლი საქმეა. ამისათვის საჭიროა იცოდეთ სავარჯიშო ფართი და მისი სიგრძე, რის მიხედვითაც იღებთ თოკისა და რეზინის სიგრძეს.

მე უკვე კარგა ხანია ვვარჯიშებ ჩემი ეზოს ბავშვებს თოკზე (რეზინაზე) ჩამოკიდებულ ბურთით და შემოდის თამამად ვთქვა, რომ ყოველი მოთამაშე საუცხოოდ დაეუფლა ბურთს, შეეჩვია მას და თავისუფლად ასრულებს საკმარის რთულ იღეთებს. ბიჭებს უკვე აქვთ ათვისებული ტექნიკური ანბანი და როცა ისინი სავარჯიშოდ მივლენ ორგანიზებულ გუნდში, მწვრთნელთათვის იოლი იქნება მათთან შემდგომი მუშაობა. იგივე შეუძლიათ გააკეთონ ყველგან, სადაც კი არის საამისო თუნდაც სულ მცირე საშუალება. მაშინ მასობრივი ფეხბურთისათვის, გვეყოლება გაცილებით უფრო მეტი და უკეთესი არჩევანი.

ამ უახლოეს ხანში განზრახული გვაქვს ვარჯიშების დემონსტრაცია მოვხდინოთ კინოსა და ტელევიზიის საშუალებით. ეს კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ბავშვთათვის მცირე ტერიტორიაზე ბურთით ვარჯიშს.

ა. ნიკოლაიშვილი,
თბილისის საფეხბურთო სექციის მწვრთნელია საბჭოს თავმჯდომარე.



